„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ნოემბერი. 2024 * (9)102

ძვირფასო ასპინძელებო, გილოცავთ გიორგობის წმინდანის დღესასწაულს!

წმიდა გიორგი

წმიდაო გიორგი, დიდების მხედარო,
ვუმზერ შენს ხატებას და სული მხნედ არი...
შემუსრე უწმინდურ დრაკონთა ორგია,
იხსენ სამკვიდრო შენი – გეორგია,
დიდების უფალი მართალთა მწედ არი.
წმიდაო რაინდო, გველი არ დაინდო,
მოგვმადლე იმედი და უფლის სვე-დარი!

ზვიად გამსახურდია

წმინდა გიორგი

ხალხური

წმინდა გიორგი ცხენზე ზის,
ქვეშ უქრის ნიავქარია,
მხარზედა ჰკიდავნ მათრახი
სამოცდა სამი მხარია.
ვისაც დაუქნევს, დააჩნევს –
მისი დაკრული მწარია.
შამაუარა საყმოთა,
სულ შააგროვა ყმანია,
უგულოს გული ჩაუდგა,
წელზედ შააბა ხმალია.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში საპარლამენტო არჩევნების ხმები გადანაწილდა შემდეგნაირად:

ბორჯომის მუნიციპალიტეტი - 61,33 %;
ახალციხის მუნიციპალიტეტის - 61,6 %;
ადიგენის მუნიციპალიტეტი - 65,4 %;
ასპინძის მუნიციპალიტეტი - 69,9 %;
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი - 87,8 %;
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი - 88,2 %.

საპარლამენტო არჩევნები - 2024

2024 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნები საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საეტაპო მოვლენა იყო, რის გამოც იგი საერთაშორისო ინტერესის არეალში მოექცა და ქვეყნის ახლადარჩეული ხელისუფლება უდიდესი გამოწვევების წინაშე დააყენა.

ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს ვთავაზობთ ძირითად მონაცემებს არჩევნების შედეგების შესახებ

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მონაწილეობდა 18 პოლიტიკური პარტია და გაერთიანება; მათ შორის 5%-იანი საარჩევნო ბარიერი ხუთმა პოლიტიკურმა პარტიამ და გაერთიანებამ გადალახა. ცეესკოს მიერ ხმების დათვლის შემდეგ ხმები ასეთნაირად გადანაწილდა:

„ქართული ოცნება“ – 53,93 % (1 118 796 ხმა);

„კოალიცია ცვლილებისათვის“ (მელია, გვარამია, „გირჩი“, „დრონა“) – 11,03 % (228 821 ხმა);

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 10,16 % (210787 ხმა);

„ძლიერი საქართველო“ („ლელო“, „ხალხისთვის“, „მოქალაქეები“< „თავისუფლების მოედანი“, – 8,81 % (182 839 ხმა);

„გახარია საქართველოსთვის“ – 7,77 % (161 215 ხმა).

ბარიერის გადალახვის შანსი კიდევ რამდენიმე პარტიას ჰქონდა, მათ შორის ბარიერს ხმაა გარკვეული რაოდენობით მიუახლოვდნენ შემდეგი პარტიები:

„გირჩმა“ მიიღო ხმათ 3,01 % (62 261 ხმა);

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი„|„ალტ-ინფო“ – 2,44 % (50 555 ხმა), „ლეიბორისტული პარტია“ – 0, 72 % (15 162 ხმა).

რეგიონების მიხედვით „ოცნებამ“ ყველაზე მაღალი მხარდაჭერა მიიღო:

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში – 88, 19 %;
ახალქალაქის მუნიციპალიტეტში – 87, 79 %;
საჩხერის მუნიციპალიტეტში – 84, 33%;
ბოლნისის მუნიციპალიტეტში – 81, 42 %;
მარნეულის მუნიციპალიტეტში – 79, 54 %;
დმანისის მუნიციპალიტეტში – 75, 32 %;
ლენტეხის მუნიციპალიტეტში – 75, 27 %;
მესტიის მუნიციპალიტეტში – 72, 60 %;
ყაზბეგის მუნიციპალიტეტში – 72, 33 %;
წალკის მუნიციპალიტეტში – 71, 54 %;
ასპინძის მუნიციპალიტეტში – 69, 54 %.

განსაკუთრებული ყურადღება სკოლებს!

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის პირველი მოადგილე **ლევან მუმკუდიანი** და საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე **გივი მიქანაძე,** საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატთან ახალციხის, ადიგენის, ბორჯომისა და ასპინძის ოლქში **ანტონ ობოლაშვილთან,** სახელმწიფო რწმუნებულთან სამცხე-ჯავახეთის მხარეში **ბესიკ ამირანაშვილთან** და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლების დამალისა და ტოლოშის საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაციის სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ.

სოფელ დამალისა და ტოლოშის საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროექტს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოში მიმდინარე მშენებლობა/რეაბილიტაციის მასშტაბური პროექტის ფარგლებში ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ დამალის საჯარო სკოლა 840 მოსწავლეზეა გათვლილი და მისი სრული რეაბილიტაციის და აღჭურვის პროექტის ჯამური ღირებულება 6 760 000 ლარზე მეტია, ხოლო სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლა 260 მოსწავლეზეა გათვლილი და მისი სრული რეაბილიტაციის და აღჭურვის პროექტის ჯამური ღირებულება კი 2 543 700 ლარამდეა.

პროექტის ფარგლებში ორივე სკოლაში საგანმანათლებლო სივრცეების პარალელურად ეწყობა საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები; ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი და რესურსოთახი; საკონფერენციო და სააქტო დარბაზები; სპორტული ინფრასტრუქტურა და რეკრეაციული სივრცეები.

სკოლები სრულად ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის: მოეწყობა ლიფტები, პანდუსები და ადაპტირებული სველი წერტილები. უზრუნველყოფილი იქნება ასევე კომპიუტერული ქსელებით, სახანძრო უსაფრთხოების და გათბობის სისტემებით. აღიჭურვება ყველა შესაბამისი სასწავლო რესურსით, ინვენტარითა და ტექნიკით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

მიმდინარე წლის 18 ოქტომბერს გაიმართა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადაცემაზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხს:

ბ. ბერიძე; გ. ჯვარიძე, ა. ტივაძე.

დეპუტატებმა წარმოდგენილი პროექტი ერთსულოვნად დაამტკიცეს.

სხდომას უძღვებოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ბერიძე,**

სხდომას ესწრებოდა მარიამ ბარძიმაძე - ,,მრავალეროვანი საქართველოს” წარმომადგენელი ასპინძაში.

მაკა ბერიძე

გაზიფიცირების ახალი ეტაპი

რამდენიმე წელია მუნიციპალიტეტში დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს სოფლების გაზიფიკაციების სამუშაოები. ეს პროცესი ფაქტიურად მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობაზე ხორციელდება და გათვალისწინებულია უახლოეს მომავალში მთლიანად იქნას ასპინძა გაზიფიცირებული.

ყოველივე ამან უაღრესად დადებითი ეფექტი მოახდინა როგორც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, ასევე გარემოს დაცვისა და ტყის რესურსების ეფექტურ გამოყენებაზე. ფაქტიურად შედეგები სახეზეა, – მუნიციპალიტეტში მაქსიმალურად შემცირდა როგორც საშეშე ხე-ტყის დამზადება-გამოყენება, ასევე, მინიმუმამდე დავიდა სამასალე მერქნის დამზადების პროცესი, რაც ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების საწინდარი გახდა.

ამ მიმართებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა მუნიციპალიტეტის სოფელ ივერიაში, სადაც დაიწყო მოსახლეობის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფისათვის გამრიცხველიანების აქტიური სამუშაოები. პროცესში ეტაპობრივად ჩაერთვება სოფლები: ნიჯგორი, თოკი და ვარგავი. აღნიშნული პროექტის დასრულების შემდეგ, გაზიფიცირების პრობლემა დაახლოებით 234 აბონენტს მოუწესრიგდება.

მოსახლეობის გადაწყვეტილებით

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, ასპინძის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს შესაბამისი პროექტების განხორციელება, კერძოდ:

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სოფელ ივერიაში აქტიურად მიმდინარეობს და უახლოეს დღეებში დასრულდება საბავშვო სკვერის მოწყობის სამუშაოები.

პროექტით გათვალისწინებულია საბავშვო სკვერის, მოედნის, გასართობი ატრაქციონის, მოსასვენებელი სივრცის, საყრდენი კედლების და სკამების მოწყობა.

პროექტი მოსახლეობის საერთო კრებაზე ხმათა უმრავლესობით შეირჩა და მერიის თანადაფინანსებით ხორციელდება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებშიც აქტიურად მიმდინარეობს.

მოსახლეობის მხარდაჭერისათვის



მუნიციპალიტეტის სინამდვილეში ალბათ ვერ ნახავთ ვერცერთ სოფელსა თუ დასახლებულ პუნქტს, სადაც უკანასკნელ პერიოდში არ განვითარებულიყო მათი ინფრასტრუქტურა, უპირველესად ეს ეხება სოფლის შიდა გზებისა და განათების პრობლემების მოგვარებას, სახელმწიფო ობიექტების მშენებლობასა თუ არსებულ ავარიულ ობიექტებზე სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, მოზარდი თაობისათვის დასვენება-გართობისათვის ნორმალური პირობების შექმნას. თითქმის ყველგან კეთდება საბავშვო ატრაქციონები, მინი სტადიონები და ა.შ.

ყოველწლიურად მუნიციპალიტეტში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში – სოფლად ხორციელდება – სოფლისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა, რის გამოც მოსახლეობა ყოველთვის გრძნობს როგორც სახელმწიფოს, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან ამ პროექტების განხორციელებისათვის საჭირო ფინანსურ მხარდაჭერას.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სულ ახლახან სოფელ ნაქალაქევში დასრულდა საბავშვო სკვერისა და მოედნის, გასართობი ატრაქციონების, მოსასვენებელი სივრცის, საყრდენი კედლების, კიბეებისა და სკამების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. პროექტი მოსახლეობის გადაწყვეტილებით, დასახლებაში გამართულ საერთო კრებაზე ხმათა უმრავლესობით შეირჩა და მერიის თანადაფინანსებით განხორციელდა. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალში კიდევ უფრო ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდეს. მიზანი კი ერთია, მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ყველა სოფლის მოსახლეობას ნორმალური საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას.

სპორტული ფორმები გადაეცათ

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერითა და ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანების ინიციატივით ასპინძის ფეხბურთის სექციის სპორტსმენებს საჩუქრად სპორტული ფორმები გადაეცათ.

მოზარდ ფეხბურთელებს ფორმები ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ და ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანების დირექტორმა ლევან მაზმიშვილმა გადასცეს და მათ წარმატებები უსურვეს.

აღსანიშნავია, რომ სპორტული ფორმებით უზრუნველყოფა ყოველწლიურად ხორციელდება ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანების სხვადასხვა სექციის მოზარდი სპორტმენებისთვის.

პატარებმა იდღესასწაულეს

იმ დღეს მართლაც დიდი სადღესასწაულო განწყობა სუფევდა ასპინძის N2 ბაგა-ბაღში, სადაც თავი მოიყარეს ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა, პედაგოგ-აღმზრდელებმა, ბავშვების მშობლებმა და მოწვეულმა სტუმრებმა. რამდენიმე წელია, რაც აქ ტრადიციად იქცა აღინიშნოს შემოდგომის ზეიმი. მას არც ამ წელს უღალატეს. თითქოს მთელი წლის ხვავითა და ბარაქით ავსილიყო ლამაზად მორთული და ნაირფერებით გალამაზებული ეზოში-კარმიდამო. შემოდგომის სურნელება იფრქვეოდა ირგვლივ.

მასპინძლებმა დიდი კმაყოფილება გამოხატეს მოწვეულ სტუმრებთან ერთად მუნიციპალიტეტის მერის როსტომ მაგრაქველიძისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების წარმომადგენელთა დასწრების გამო.

ბაღის აღსაზრდელებმა თავიანთ პედაგოგებთან ერთად ტრადიციულ თათარაობასა და ჩურჩხელების ამოვლებაშიც მიიღეს მონაწილეობა.

საბავშვო ბაღის ეზოში მოწყობილი იყო დეკორატიული კუთხეები, სადაც შემოდგომის მოსავალი იყო გამოფენილი. ირგვლივ ბავშვთა ჟრიამული ავსებდა არემარეს. ღონისძიებას თავისი პეწი შესძინა პატარა აღსაზრდელების განსაკუთრებულმა აქტივობამ, რომლებმაც შემოდგომის თემატიკაზე წაიკითხეს ქართველი საბავშვო პოეტების ლექსები და შეასრულეს სიმღერები.

მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებმა მადლობა გადაუხადეს როგორც პატარებს, ასევე N2 ბაგა-ბაღის პედაგოგ-აღმზრდელებს ასეთი ლამაზი ღონისძიების ჩატარებისათვის.

ვარძიის ტურისტული პოტენციალი



მას შემდეგ რაც საქართველომ ნანატრი დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქვეყნის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო – თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყნის ახლებური მოწყობა, მისი ეკონომიკური განვითარება და რაც მთავარია მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებში საკუთარი ადგილის მოძიება- დამკვიდრება.

ჩვენ ყოველთვის ვიმედოვნებდით, რომ საქართველოს აქვს ისეთი პოტენციალი, რითაც თავისუფლად შეუძლია იგი ერთ-ერთ განვითარებულ ქვეყნად იქცეს თუ, რა თქმა უნდა, სწორ ორიენტაციაზე იქნება მიმართული ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკა. საიმისოდ კი ყველა პირობა გაგვაჩნია. ერთ-ერთი კი, რა თქმა უნდა, საქართველოს უმდიდრესი პოტენციალი ტურიზმის განვითარებაა, რომლისთვისაც უპირველესად საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მისი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნაა. ამ მიმართებით კი ჩვენს მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი სამუშაო ჩატარდა და მაქსიმალურად იცვლის სახეს მთელი მუნიციპალიტეტი, მათ შორის კი, რა თქმა უნდა, ტურიზმის განვითარების მთავარ ბერკეტს ჩვენში ვარძია წარმოადგენს, რომელიც მრავალი ათეული წელია ექსკურსანტთა და ტურისტთა უწყვეტ ნაკადს უწევს მომსახურებას.

ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, ძალასა და ენერგიას არ ვზოგავთ იმისათვის, რომ სათანადო მომსახურება გავუწიოთ თითოეულ ადგილობრივ თუ უცხოელ დამთვალიერებელს. მიიწურა 2024 წელი და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვარძია დღითიდღე კიდევ უფრო მიმზიდველი და საინტერესო ხდება როგორც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის. ჩვენის მხრივ არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განვახორციელეთ და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ვუწევთ მომსახურებას თითოეულ მათგანს და მაქსიმალურად ვუწყობთ ხელს, მათი მომსახურებისათვის სათანადო პირობების შექმნას. კერძოდ, აქტიური სეზონის დაწყებამდე მუზეუმ-ნაკრძალისათვის, სააგენტომ შეიძინა და გადმოგვცა შიდა ტერიტორიაზე, ვიზიტორთა გადასაადგილებლად 2 (ორი) ერთეული სრულიად ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი, თითოეული 17 მგზავრზე გათვლილი, მიკრო-ავტობუსი. რომელიც, ტურისტთა მოთხოვნების შესაბამისად, მოემსახურება სტუმრებს ვიზიტორთა ცენტრიდან – საფეხმავლო ბილიკამდე უსაფრთხო, სწრაფ და კომფორტულად გადაადგილებაში.

სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ წლეულს ვუმასპინძლეთ რამდენიმე ქვეყნის მაღალი რანგის სტუმრებს, მათ შორის საქართველოში მყოფ ისლანდიის პრეზიდენტსა და მის დელეგაციას. საქართველოსა და სომხეთის პარლამენტების ნდობის ჯგუფის წევრებს, საქართველოში აკრედიტებული საელჩოების წარმომადგენლებს და ა.შ.

მიმდინარე წლის მარტში ქ. ახალციხეში გაიმართა სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგი, თემაზე: ,,ინკლუზიური ტურები და მისაწვდომი სერვისები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის“. მასში მონაწილეობა მიიღო ბევრმა ჩვენმა თანამშრომელმა და გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

18 მაისს, მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე, ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით დავაორგანიზეთ ხალხური რეწვის ოსტატთა მიერ შექმნილი ნივთების, სუვენირების, ნაქარგის, ნაქსოვის, აგრეთვე ნახატების გამოფენა-გაყიდვა. მათ შორის ადგილობრივ მეწარმესთან ერთად, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ასპინძის შშმ-პირთა განვითარების ცენტრის აღსაზრდელებმაც და წარმოადგინეს საინტერესო ხელთ-ნაკეთობები.

ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის მაღალ ავტორიტეტზე მეტყველებს ის, რომ ამა წლის ივნისში მუზეუმ-ნაკრძალში გაიმართა ტრადიციად ქცეული ახალგაზრდა არქეოლოგთა მეთხუთმეტე საერთაშორისო კონფერენცია. რომელშიც მონაწილეობდნენ თსუ-ის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის, ოქსფორდის, ინსბრუკის, ედინბურგის, მასარიკის, ჩიკაგოს, მარტინ ლუთერის სახელობის ჰალეს და რურის რეგიონის ბოხუმის, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და გერმანიის სამთო მუზეუმის ახალგაზრდა არქეოლოგები და მეცნიერები.

„მუზეუმ-ნაკრძალი ვარძია“ როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ვიზიტორების განსაკუთრებული ყურადღების არეალში რომ არის, ეს არ ახალია, რასაც მოწმობს ის სტატისტიკური მონაცემები, რომელიც წლიდან წლამდე იზრდება და დარწმუნებული ვარ, რომ არა ყველასთვის ცნობილი ხელის შემშლელი ფაქტორები (დასამალი არაა, რომ ყველაზე ბევრი ვიზიტორი ყოველთვის რუსეთ-უკრაინიდან შემოდიოდა. რედ.) ბევრად უფრო შთამბეჭდავი გახდებოდა მისი ტურისტული პოტენციალი. ამის მიუხედავად, მიმდინარე წლის იანვარ-ოქტომბრის პერიოდში ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალს ეწვია 120 000-ზე მეტი ვიზიტორი. მათ შორის საქართველოს 39 000, ხოლო ევრაზიის ქვეყნებიდან – 81 000 ვიზიტორი, რაც 2023 წლის მთლიან მონაცემებს 6 000 ვიზიტორით აღემატება, წინ კიდევ 2 თვე გვაქვს და, ვიმედოვნებთ, რომ მიმდინარე წელს მინიმუმ 15 % -ანი ზრდით დავასრულებთ ტურისტულ სეზონს. აქვე უნდა ითქვას, რომ მიმდინარე წელს შეინიშნება ვიზიტორების მატება როგორც სამხრეთ კორეის, ასევე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდანაც.

ილია თედორაძე,
მუზეუმ-ნაკრძალ ვარძიის
დირექტორი

ნეს-ჩვეულებები

აქ საღმრთო არ იცოდნენ. აქ სანთლებს დაანთებდნენ. ქიშმირ აბრეშუმს შესწირებდნენ. ავი თვალის შელოცვა არ იციან, მაგრამ წამლის გაკეთება იციან, საყმაწვილოს და თვალის. ჩემ ბავშვს აკვანზე ერთი საპალნე მძივი ეკიდა: ცხენის მძივი, ოროჯები (თევზის ლაყუჩები, ქაფარუნები _ ყვითელ ოქროს გავდა) და პატარა ბავშვი აჩხაკუნებდა _ ათამაშებდა. აკვნის ქვეშ დანის და ხანჯლის, მაკრატლის დადება იცოდნენ. ავი სული, ეშმაკები, გავლილები არ მიეკიდოსო.

ერთი ქალი მკვდარი იყო, მთელი ექიმები ამოვიდნენ ასპინძიდან და ვერ უშველეს. მერე მოიყვანეს შავი კატა, გაგლიჯეს ზედ ცოცხალი და სისხლი ჩაუშვეს, კოვზის ტარით ყბიები გაუხსნეს. შავი ვირის ტყავიც ცხელ-ცხელი იყო, თბილ-თბილი და გაახვიეს ის ქალი იმ ვირის ტყავში. შავი ქათამი, შავი ძაღლიც შეიძლება. შავს იმიტომ, რომ ავი სული არ ერჩის. კატის ტყავი შუბლზე, მუცელზე დაადეს. ყვავილი როცა ქონდა ბავშვს, არაფერს აძლევდნენ. სახლში საჭმელს არ გავაკეთებთ, ბავშვის ირგვლივ წითელ მატერიას ჩამოვკიდებდით. სარეცხს არ დარეცხავდნენ, ნემსს არ აიღებდნენ, რო შეუქცევსო, უფრო შეღონდება, ბატონებს ეწყინებაო.

ამაღლებათ იციან: მოკრეფავდნენ შვიდნაირ ბალახსა: ჭინჭარი, ობოლო ჭინჭარი, ტირიფის ტოტი, სამყურა ბალახი, კაკლის ტოტი, უზალიკი. ნაღამურ წყალში უნდა მოიხარშოს და როცა გინდა აბანე ბავშვი. წამალი არისო.

მუცლის ტკივილზე ოტკა და თაფლი იცოდნენ.

მთქმელები დარიკო (ფანცქალა) ალექსის ასული ველიჯანაშვილი, 21 წლის, თამარ დანიელის ასული ველიჯანაშვილი, 22 წლის, აღათი ივანეს ასული ივანიშვილი-ველიჯანაშვილისა, 60 წლისა. ჩაიწერა ნინო ღოღობერიძემ. 1960 წლის მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია. რვეული I, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი (ამჟამად ეროვნული ცენტრი) - შემოსულობათა წიგნი N665

ყვენობა ჯავახეთში და ზოგიერთი ცრუმორწმუნოება ქართველებისა

... ქუხილისა და სეტყვის დროს, თუ სეტყვაც მოდის, ჯავახის პირიდგან ამას გაიგონებთ: „ბრმა ელიავ, მთა-მთა იარე„. მათის აზრით, სეტყვა და ელვა-ქუხილი წინასწარმეტყველის ილიას საქმეა და ამიტომაც სთხოვენ, რომ იმათ დათესილს მინდვრებს აიცდინოს ელიამ სეტყვა და „მთა-მთა აროვინოს„. ელვა-ქუხილისა და სეტყვის დროსვე ტაფაში მარილს ჰყრიან და კარის ზღურბლთან სდებენ, მათის აზრით, ეს იმასა ნიშნავს და იმის საშუალებაა (ისიც უებარია), რომ სეტყვა მაშინვე გაწყალდებაო.

...თვით ჯავახების მანდილოსნებშიც გახშირებულია ეგრეთ წოდებული „ფალჯობა„ (მკითხაობა). ესენი მკითხაობენ ლობიოს მარცვლების გაშლით და ტყობულობენ ავადმყოფის საბოლოოს, მგზავრის ამბავს, ე.ი. მალე მოსვლას და დაგვიანებას და სხვა ამ ნაირებს...

ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ფ. N 1079, ეთნოგრაფიული მასალები ვასილ კოპტონაშვილისა, ასპინძის რაიონი, სოფ. ხიზაბავრა. ნინო ღოღობერიძე. 1960 წლის მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია. რვეული I, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი (ამჟამად ეროვნული ცენტრი) - შემოსულობათა წიგნი N665

ივერიაში შიდა გზები ეთდება

ორიოდე თვე და ეს წელიც დამთავრდება, რომელმაც, როგორც წინა წლებმა, ასევე ამ წელმაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ბევრი სიკეთე მოუტანა, რაც განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების სიმრავლეზეც აისახება. წინილებს შემოდგომით ითვლიანო და აი შედეგების შეჯამების დროც დადგა. აბსოლუტურად ყველა სოფელსა და დასახლებულ პუნქტს შეეხო ეს სიკეთე, მათ შორის სოფელ ივერიასაც, სადაც თვალშისაცემია სიახლეები.

ახლახან კი კიდევ ერთი კარგი საქმის მოწმენი გავხდით, კერძოდ, განსაზღვრულ ვადებში დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს სოფლის შიდა გზების კეთილმოწყობითი სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებს 1488 მეტრი სიგრძის ასფალტო-ბეტონის გზის მშენებლობას, აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია შპს „N2 საგზაო სამშენებლო სამმართველო“, რომელიც განსაზღვრულ ვადებში დამთავრდება.

ქალთა ინტერესების დასაცავად

მას შემდეგ რაც ასპინძის მუნიციპალიტეტში დაფუძნდა ქალთა ოთახი, იგი მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა დაბასა თუ სოფლებში მცხოვრები მდედრობითი სქესის მოქალაქეებისათვის როგორც სამედიცინო, ასევე გენდერული უფლებების დაცვისათვის, მუნიციპალიტეტის მერიისა და ჯანდაცვის ადგილობრივ სამსახურებთან თანამშრომლობით შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებს, რათა მათ შევუმსუბუქოთ არსებული პრობლემები. პრაქტიკაში დავნერგეთ სხვადასხვა მიმართულებით აქციები. ასე მაგალითად: თებერვლის თვეში ასპინძის ქალთა ოთახში ჩატარდა უფასო აქცია, თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკის მიერ. რომელიც ადგილობრივი მერიის ხელშეწყობით განხორციელდა.

ამა წლის ივნისში ადგილობრივმა ჯანდაცვის წარმომადგენლებმა ჩაატარეს ტრენიგი იმუნიზაციის თაობაზე, სადაც დაინტერესებულ ქალბატონებთან ერთად მოწვეული გვყავდა სოფლად დასაქმებული სამედიცინო პერსონალი.

ასევე აღსანიშნავია, რომ სექტემბრის თვეში ჩავატარეთ ტრეინიგი, რომელიც გულისხმობდა გენდერული ნიშნით სქესის შერჩევას და მასთან დაკავშირებულ მავნე პრაქტიკას. პროგრამა განახორციელდა გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ.

ოქტომბრის თვეში ასპინძის ქალთა ოთახში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა საშვილოსნოსა და ძუძუს კიბოს უფასო სკრინინგ-პროგრამის შესახებ. იგი ჩაატარა ადგილობრივი ჯანდაცვის თანამშრომლებმა.

ამ დრომდე ქალთა ოთახის სხვადასხვა სერვისებით ისარგებლა დაახლოებით 50 ვიზიტორმა.

თეონა სუთიძე

სპორტი

სასკოლო ოლიმპიადა - 2024



მიმდინარე წლის 2 ოქტომბრიდან სტარტი აიღო „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა – 2024 -25 წლის“ მუნიციპალურმა თამაშებმა ორ სახეობაში: გეზრბენი და ფეხბურთი.

5 ოქტომბერს, ასპინძაში მუნიციპალური თამაშები სპორტულ სახეობა გეზრბენში ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობდნენ ასპინძის, ტოლოშის, ნაქალაქევის, ხიზაბავრის, დამალისა და რუსთავის საჯარო სკოლების გოგონების და ვაჟების გეზრბენის გუნდები.

აღნიშნულ სპორტულ ოლიმპიადაში გამოვლინდნენ მუნიციპალური თამაშების გამარჯვებული გუნდები.

ვაჟთა შორის:
I ადგილი - ხიზაბავრის საჯარო სკოლა;
II ადგილი - ნაქალაქევის საჯარო სკოლა;
III ადგილი - დამალის საჯარო სკოლა.

გოგონათა შორის:
I ადგილი - ხიზაბავრის საჯარო სკოლა;
II ადგილი - რუსთავის საჯარო სკოლა;
III ადგილი - ასპინძის საჯარო სკოლა.

მონაწილეები ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისგან დაჯილდოვდნენ მედლებით და თასებით.

***

ამა წლის 12 ოქტომბერს, ასპინძის კულტურისა და დასვენების პარკში, ხელოვნურ საფარიან ფეხბურთის მინი სტადიონზე, მინი ფეხბურთში მუნიციპალური თამაშები გაიმართა.

აღნიშნულ ოლიმპიადაში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გოგონათა და ვაჟთა 14 გუნდი მონაწილეობდა;

გოგონათა შორის:
I ადგილი - ივერიის საჯარო სკოლა;

II ადგილი - ტოლოშის საჯარო სკოლა;
III ადგილი- ოშორის საჯარო სკოლა.

ვაჟებს შორის შეჯიბრში ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს დაბა ასპინძისა და რუსთავის საჯარო სკოლები დაუპირისპირდნენ.

ვაჟთა გუნდები:
I ადგილი - დაბა ასპინძის საჯარო სკოლა;
II ადგილი - რუსთავის საჯარო სკოლა.
III ადგილი- ტოლოშის საჯარო სკოლა

მონაწილეები ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისგან მედლებითა და თასებით დაჯილდოვდნენ.

გამარჯვებული გუნდები მუნიციპალიტეტის სახელით რეგიონის პირველობისთვის იბრძოლებენ.

მუნიციპალურ თამაშებს ორგანიზება ასპინძის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა გაუწია.

ფეხბურთში გამოვლინდა ტურნირის საუკეთესო მოთამაშე დავით კახაძე, რომელიც დაჯილდოვდა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაწესებული პრიზით.



პაატა ქავთარაძე

მატიანე

ე.შევარდნაძე ნიალაში. 1979 წელი. სურათი მოგვაწოდა ქეთევან ლოლაძემ

ძველი გაზეთებიდან

***

ჯავახეთიდამ გვწერენ, რომ ჩვენსკენ სულ 15-მდე სოფელია ქართველებით დასახლებული და ოთხი საერო სკოლა გვაქვს გამართულიო: ქილდისა, ბარალეთისა, ხიზაბავრისა და ხერთვისისაო. ხერთვისში ნახევარი მცხოვრებლებისა ქართველი მაჰმადიანები არიან, მაგრამ ისინიც აძლევენ თავიანთ შვილებს სკოლაშიო. სამწუხაროდ, გვწერს კორრესპონდენტი, ქართული წიგნები ნაკლებადა გვაქვს აქეთაო. ერთად-ერთი წიგნი, რომელიც მოიპოვება სკოლებში ჩვენს ბედობაზედ, არის „დედა-ენაო.“ მაგრამ მარტო „დედა-ენა“ საკმარისი არ არისო. სხვა წიგნებს-კი არც ფასით და არც მუქთად არავინ არ გვიგზავნის. ამას წინად „დედა-ენაც“ არ იყო ჩვენს სკოლებში და მასწავლებელი ქაღალდზე სწერდა ქართულს ანბანს და ისე ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას.

ამ ზაფხულს აქ გადმოვიდა აქ მღვდლად ნამყოფი მამა გიორგი ასათიანი, რომელიც დღეს წინამძღვარიან-კარში არის მღვდლათა და სამღვთო წერილის მასწავლებლადაო და იმან გადმოუტანა შეგირდებს საჩუქრად რამდენიმე ქართული წიგნიო. უნდა გეცქირნათ, რა სიხარბითა და აღტაცებით მიიღეს ეს სასიამოვნო საჩუქარი მოსწავლე ყმაწვილებმა და მაშინ დარწმუნდებით, რა ძრიელია ჯავახეთში სურვილი ქართულის წერა-კითხვის სწავლისა და საზოგადოთ ქართულის წიგნისაო.

ერთხელ „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ მოგვაწოდა რამდენიმე წიგნი და დღესაც ვსთხოვთ, ნუ დაგვივიწყებს და ან საჩუქრად ან სწორედ გასასყიდად გამოგვიგზავნოს ქართველ მწერალთა ნაწერები ჩვენის მოზარდის ახალ-გაზდობისათვის, რომელსაც ასეთის სიხარბითა ჰსურს და სწყურიან სწავლა და ქართულის წიგნების კითხვაო. მეტად სასიამოვნოც არის და თან მეტად სამწუხაროც ეს ამბავი. სასიამოვნოა იმიტომ, რომ ჩვენ ყურადღებასაც არ ვაქცევთ ამ გარემოებას და არ გვინდა მივეშველოთ და დავუკმაყოფილოთ ხალხს ეს სურვილი. ვისაც ასხმიან ყურნი სმენად, ისმინონ!

„ივერია,“ 1886 წელი, N212

მსოფლიოს დიდი ქალაქები და მათი მოსახლეობა:

1.ტოკიო - 37, 1 მილიონი - (იაპონია);
2.დელი - 29,3 მილიონი - (ინდოეთი)
3.შანხაი - 26,3 მილიონი - (ჩინეთი);
4. სან-პაულუ - 21,3 მილიონი - (ბრაზილია);
5.მეხიკო - 21,6 მილიონი - (მექსიკა);
6.კაირო - 20,4 მილიონი - (ეგვიპტე);
7.დაკკა - 20,2 მილიონი - (ბანგლადეში);
8.მუმბაი - 20,1 მილიონი - (ინდოეთი);
9.პეკინი - 19, 4 მილიონი - (ჩინეთი);
10.ოსაკა - 19,2 მილიონი - (იაპონია).

კიდევ ერთი დამაჯერებელი გამარჯვება

საქართველოს სპორტის ისტორიაში უკანასკნელ ხანს არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა, რასაც მომავალი თაობები სათანადო პატივს მიაგებენ ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს. იგი თითქმის სპორტის ყველა სახეობაში გამოიხატა და საქართველოს საქვეყნო აღიარება მოუტანა.

ამასთან უნდა ითქვას, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონშიც სპორტისადმი ინტერესი დღითიდღე იზრდება და, რაც მთავარია, შედეგებიც სახეზეა. მან განსაკუთრებული გამოხატულობა ჰპოვა რაგბში. რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ახლახან: მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს ასპინძის სარაგბო ბაზაზე სამცხე-ჯავახეთის სარაგბო კლუბმა „ტაომ“ დამსახურებული გამარჯვება იზეიმა. მან სარაგბო კლუბი „ხვამლი“ 34:28 - ით დაამარცხა და შესაბამისად დიდი ათეულის მეექვსე ტურში დამატებით ოთხი ქულა ჩაიწერა.

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია